PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ კოლეჯი „სპექტრი“
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრები:

მუხრან გაფრინდაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „სპექტრი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №280378 ბრძანების (24.03.2021) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. მუხრან გაფრინდაშვილი - წევრი

ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, განაცხადი „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ (განხორციელების ადგილი ქ. თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10).

ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 13 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების (მათ შორის ინტეგრირებულის) განმახორციელებლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12-14 ივნისს, რომლის დროსაც მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ დამატება. აღნიშნული ვიზიტს დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სახვითი ხელოვნების სპეციალისტი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სახვით ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0213
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი ''სპექტრის'' დირექტორის ბრძანება 2019 წლის 5 მარტის N97 ბრძანება; დირექტორის ბრძანება 2021 წლის 12 მარტის N58 (ცვლილება)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10;
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	133
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	163
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	**სრული შესაბამისობა**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

კოლეჯის მისიაა „დაწესებულების მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს, მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე“.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №145 გადაწყვეტილებით, კოლეჯმა მიიღო უფლება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“, რადგან აღნიშნული პროგრამით ხდება ერთ-ერთი მოთხოვნადი და პერსპექტიული პროფესიის შესწავლა. კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ განხორციელებამ, აგრეთვე კურსდამთავრებულთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ აღნიშნული სპეციალობის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან პროფესიით, რადგან შრომის ბაზარზე დიდია მოთხოვნა აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე კადრებზე.

კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“, რომლის შესაბამისად კოლეჯში განხორციელდა „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ ინტეგრირებული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის განსაზღვრის პროცედურები, რის შედეგადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის დამატების შესახებ.

სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025 წლების სტრატეგია) 2021 წლისათვის ითვალისწინებს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

ამდენად, კოლეჯის გადაწყვეტილება ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ დამატების შესახებ ეფუძნება კოლეჯში „პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესს“, კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებას „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, როგორც პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, ისე - ინტეგრირების შემთხვევაში. კერძოდ, პროგრამაზე დაიშვების წინაპირობებია: ა) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება; ბ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო ზოგადი განათლება.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება პროფესიული ტესტირების გზით და სხვა რაიმე დამატებით პროცედურა სხვა დამატებით პირობებს არ ითვალისწინებს.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა **(45 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 30 ინტეგრირებული)** განისაზღვრა კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მისაღებ სტუდენტთა ქვოტა თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვროს შემდეგი პარამეტრებით:

ა. მოდულ(ებ)ის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო;

ბ. მოდულ(ებ)ის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა;

გ. საწარმოო პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის რესურსი;

დ. პროგრამის ხანგძლივობა.

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაანგარიშების დროს იხელმძღვანელეს აღნიშნული მეთოდოლოგიით და განსაზღვრეს, რომ დარგობრივი მოდულების სწავლება იწარმოებს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სათანადოდ აღჭურვილ სასწავლო სახელოსნოში, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
„მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ ინტეგრირებული მოდულების ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სწავლება განხორციელდება შესაბამისი აღჭურვილობის მქონე სივრცეებში (ლაბორატორიებში) ორ ცვლაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ განხორციელებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული რესურსები (ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიულ საგანმანათლებლო (ინტეგრირებულ) პროგრამაში „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდული „ხატისა და ფრესკის შესრულება“, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „სახვითი ხელოვნება“ ითვალისწინებს და შესაბამისად აღნიშნული მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება პროფესიული კოლეჯის დირექტორის პრეროგატივაა, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამება „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ სახელწოდება იდენტურია საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდების, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა, რაც ნიშნავს, რომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ კოლეჯს შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო სტანდარტის და საქართველის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ მისია
- სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (კოლეჯის დირექტორის №35-ა ბრძანება, 29.04.2020წ.)
- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი (კოლეჯის დირექტორის №274 ბრძანება, 17.05.2018წ.)
- საქართველის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ
- პროფესიული საგანმანათლებლო (ინტეგრირებული) პროგრამა „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ კოლეჯის დირექტორის ბრძანება №58, 12.03.2021წ. (ცვლილება)
- „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია, კოლეჯის დირექტორის №145 ბრძანება 15.03.2018 წ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A/B, A/C, A/B /C გარემოები, რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე კომპიუტერებით და ასევე ყველა იმ მატერიალური აღჭურვილობით, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალით. გასაუბრების დროს დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამატებით შესასყიდი მატერიალური რესურსების ნუსხა და აღნიშნა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
რომ აღნიშნული მატერიალური რესურსები გაამდიდრებს პროგრამას. ამჟამად დამატებითი რესურსის შესყიდვაზე ტენდერია გამოცხადებული და უახლოეს მომავალში მოხდება შესყიდვა.

რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განხორციელების სივრცეებს და მატერიალურ აღჭურვილობას კოლეჯს გააჩნია ინტეგრირებული მოდულების სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსით აღჭურვილი ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის და გეოგრაფიის აუდიტორიები.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ ინტეგრირებული მოდულების (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიი) სწავლება განხორციელდება შესაბამის აღჭურვილობის მქონე სივრცეებში, რომელსაც დაწესებულებას შეძენილია აქვს და იყენებს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით“ პროგრამისათვის, სწავლება აღნიშნულ სივრცეში განხორციელდება ორ ცვლაში.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის განხოციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა - 21 პროფესიული მასწავლებელი (როგორც ზოგად და პროფესიულ, ასევე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებულ მოდულებზე) და მათი საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები, დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა ინტეგრირებული მოდულების სერთიფიცირებულ განმახორციელებლებს, რომლებიც კონკურსის წესით იქნენ შერჩეულნი კოლეჯში მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს არა მხოლოდ სრული ტრეინინგკურსი აქვთ გავლილი, არამედ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების გამოცდილება უკვე აქვთ სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები ითვალისწინებს, რომ ის კოორდინაციას გაუწევს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას მიაწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით.

კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია 15 კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული რესურსის არსებობის შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებულია „ელექტრონული“ ვერსია, ასევე, მასალა ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ბიბლოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**

კოლეჯში ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლება, რაც გულისხმობს საჭირო დამატებით ადამიანური და მატერიალური რესურსის მიწოდებით მათ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

კოლეჯის მთელი სივრცე ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის და შესაბამისად, არც ბიბლიოთეკასთან და არც საგანმანათლებლო სივრცეებთან მათი წვდომა პრობლემას არ წარმოადგენს.

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებას სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირების მიზნით ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სსსმ პირების ასისტენტი. საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჩასართავად შესაძლებელია ჟესტური ენის თარჯიმნის სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის დახმარების უზრუნველყოფა.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილებს და ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი (5).

ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი მოიცავს ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება პროფესიული მასწავლებლის ანაზღაურებისა და მასალა-ნედლეულის საფასურისგან.

პროგრამის ბიუჯეტით მტკიცდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ფინანსური რესურსებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო სივრცეების დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება
- პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების პირადი საქმეები
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება
- პროგრამის ბიუჯეტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად.

19.05.2021წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---